

დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობისაკენ

ვარშავის დასკვნითი დეკლარაცია

მინისტრების კონფერენცია

ვარშავა

27 ივნისი, 2000 წ.

ჩვენ, მონაწილენი ქვეყნებიდან:

ალბანეთის რესპუბლიკა, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, არგენტინის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, ავსტრალია, ავსტრიის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა, ბელიზი, ბელგიის სამეფო, ბენინის რესპუბლიკა, ბოლივიის რესპუბლიკა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბოტსვანის რესპუბლიკა, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბულგარეთის რესპუბლიკა, ბურკინა ფასო, კანადა, ქეიფ ვერდეს რესპუბლიკა, ჩილეს რესპუბლიკა, კოლუმბიის რესპუბლიკა, კოსტა რიკის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, კვიპროსის რესპუბლიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანიის სამეფო, დომინიკის თანამეგობრობა, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორის რესპუბლიკა, ეკვატორს არაბთა რესპუბლიკა, სალვადორის რესპუბლიკა, ესტონეთის რესპუბლიკა, ფინეთის რესპუბლიკა, საქართველო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, გვატემალის რესპუბლიკა, ჰაიტის რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა, უნგრეთის რესპუბლიკა, ისლანდიის რესპუბლიკა, ინდოეთის რესპუბლიკა, ინდონეზიის რესპუბლიკა, ირლანდია, ისრაელის სახელმწიფო, იტალიის რესპუბლიკა, იაპონია, იორდანის ჰაშემიტთა სამეფო, კენიის რესპუბლიკა, კორეის რესპუბლიკა, ქუვეიტის სახელმწიფო, ლატვიის რესპუბლიკა, ლესოტოს სამეფო, ლიხტენშტაინის სამთავრო, ლიბეის რესპუბლიკა, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, მაგადასკარის რესპუბლიკა, მალაიის რესპუბლიკა, მალის რესპუბლიკა, მალტის რესპუბლიკა, მაურიციუსის რესპუბლიკა, მექსიკა, მოლდოვის რესპუბლიკა, მონაკოს სამთავრო, მონღოლეთი, მაროკოს სამეფო, მოზამბიკის რესპუბლიკა, ნამიბიის რესპუბლიკა, ნეპალის სამეფო, ნიდერლანდების სამეფო, ახალი ზელანდია, ნიკარაგუას რესპუბლიკა, ნიგერის რესპუბლიკა, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა, ნორვეგიის სამეფო, პანამის რესპუბლიკა, პაპუა ახალი გვინეა, პარაგვაის რესპუბლიკა, პერუს რესპუბლიკა, ფილიპინების რესპუბლიკა, პოლონეთის რესპუბლიკა, პორტუგალიის რესპუბლიკა, ქატარის სახელმწიფო, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სან ლუჩია, სან ტომეა და პრინსიპეს რესპუბლიკა, სენეგალის რესპუბლიკა, სეიშელის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენის რესპუბლიკა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო, შრი ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკა, შვედეთის სამეფო, შვეიცარიის კონფედერაცია, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, ტაილანდის სამეფო, ტუნისის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, უკრაინა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკა, ვენესუელას ბოლივარიული რესპუბლიკა, იემენის რესპუბლიკა,

შევიკრიბეთ რა “დემოკრატიული სახელმწიფოების თანამეგობრობის” მინისტრების შეხვედრაზე ვარშავაში, პოლონეთი 2000 წლის 25-27 ივნისს:

ვიზიარებთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიზნებსა და პრინციპებს,

ვადასტურებთ რა ჩვენს გადაწყვეტილებას ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო სამართლის შესაბამისი დოკუმენტებით,

ავლნიშნავთ რა მშვიდობის, განვითარების, ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულებას,

ვაღიარებთ რა დემოკრატიული ღირებულებების უნივერსალურობას,

ვთანხმდებით, რომ პატივს ვცემთ და მხარს დაუჭერთ დემოკრატიის ძირითადი პრინციპებისა და პრაქტიკის საფუძვლებს:

- ხალხის ნება წარმოადგენს მთავრობის ძალაუფლების საფუძველს, რომელიც გამოხატულია სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განხორციელებით – აირჩიონ საკუთარი წარმომადგენლები რეგულარული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით. არჩევნები არის მრავალპარტიული, ტარდება საყოველთაო თანასწორი და ფარული კენჭისყრით. არჩევნების კონტროლს ახორციელებენ დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციები, გაყალბებისა და დაშინების გარეშე.
- ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება იმუშაოს საჯარო სამსახურში და მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვაში ყველა დონეზე, როგორც უშუალოდ, ასევე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.
- ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონით. დაუშვებელია დისკრიმინაცია რასობრივი, კანის ფერის, სქესობრივი თუ ენობრივი ნიშნით; რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის გამო; ეროვნული, სოციალური წარმოშობის, საკუთრებრივი თუ მემკვიდრეობითი სტატუსის, ასევე სხვა სტატუსის მიხედვით.
- ყველა ადამიანს აქვს უფლება იქონიოს და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები, რაც მოიცავს შეხედულებებისა და ინფორმაციის გაცვლას, ნებისმიერი წყაროს გამოყენებით, საზღვრების მიუხედავად.
- ყველა ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.
- ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება მიიღოს განთლება.
- მასმედიის უფლება შეაგროვოს, გამოაქვეყნოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ახალი ამბები და მოსაზრებები, შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებით, რომელიც განისაზღვრება კანონმდებლობით, ამ დარგში მუდმივად განახლებადი საერთაშორისო პრაქტიკას გათვალისწინებით.
- ყველა ადამიანს აქვს უფლება პატივს სცემდნენ მის პირად და საოჯახო ცხოვრებას, პირად საკუთრებას, კორესპონდენციას და ელექტრონულ კომუნიკაციებს, აგრეთვე დაცული იყოს ამ უფლების თვითნებური და არაკანონიერი შელახვისაგან.
- ყველა ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანებისა, რაც მოიცავს უფლებას ჩამოაყალიბონ ან შეუერთდნენ პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო ჯგუფებს, პროფესიულ კავშირებს ან სხვა ორგანიზაციებს და ჰქონდეთ შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები, რათა იმოქმედონ თავისუფლად, კანონის წინაშე თანაბარი განსჯადობით.
- ყველა ადამიანს რიმელიც მიეკუთვნება უმცირესობებს ან ნაკლებად უზრუნველყოფილ ჯგუფებს, აქვთ უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონით, მათ აქვთ უფლება თავისუფლად ეზიარონ საკუთარ კულტურას, აღიარონ და მისდიონ საკუთარ რელიგიას, თავისუფლად გამოიყენონ თავიანთი მშობლიური ენა.
- ყველა ადამიანს აქვს უფლება, რომ მის მიმართ არ განხორციელდეს თვითნებური დაკავება ან დაპატიმრება, წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და დასჯა, და აგრეთვე

უფლება აქვს ისარგებლოს სამართლიანი იურიდიული პროცედურებით, რაც მოიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას – ითვლებოდა უდანაშაულოდ, სანამ არ გამოცხადდება დამნაშავედ სასამართლოს მიერ.

- დემოკრატიულ საზოგადოებაში სრული და ეფექტიანი მონაწილეობისათვის არსებითად მნიშვნელოვანი ეს უფლებები, უნდა უზრუნველყოს კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლო ხელისუფლებამ. იგი ღიაა საზოგადოებისთვის, შექმნილი და დაცულია კანონის მიერ.
- არჩეული ლიდერები იცავენ კანონს და მოქმედებენ შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონით დადგენილი პროცედურების ფარგლებში.
- კანონიერად არჩეულ ლიდერებს აქვთ უფლება ჩამოაყალიბონ მთავრობა და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.
- არჩეული ხელისუფლება ვალდებულია არ გადაამეტოს კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს, ჩაატაროს პერიოდული არჩევნები, პატივი სცეს არჩევნების შედეგებს და გადადგეს კანონით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ.
- სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა იყოს გამჭვირვალე, მთლიანად ანგარიშვალდებული მოქალაქეთა წინაშე და იბრძოდეს კორუფციის წინააღმდეგ, რომელიც ახდენს დემოკრატიის კოროზიას.
- საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა იყოს სათანადოდ არჩეული, გამჭვირვალე და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული.
- დაწესდეს და განხორციელდეს სამოქალაქო, დემოკრატიული კონტროლი სამხედრო ინსტიტუტებზე.
- ადამიანის ყველა უფლება – სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური – დამკვიდრებული და დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებების ამსახველი სხვა დოკუმენტების შესაბამისად.

“დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობა”, აცნობიერებს რა, რომ მისი შემადგენელი სახელწიფოები დემოკრატიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან, ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას ერთობლივი მუშაობით განამტკიცონ და ხელი შეუწყონ დემოკრატიის განვითარებას. ჩვენ ვითანამშრომლებთ, რათა განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ დემოკრატიული ინსტიტუტები სუვერენიტეტისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის გათვალისწინებით. ჩვენი მიზანია ხელი შევეწყოთ საერთო დემოკრატიული ღირებულებებისა და სტანდარტების დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავრობები თანხმდებიან იხელმძღვანელონ აღნიშნული პრინციპებით და დაეხმარონ ერთმანეთს ამ მიზნების მისაღწევად.

ჩვენ შევეცდებით განვამტკიცოთ დემოკრატიული პროცესები და ინსტიტუტები. ჩვენ ვაცნობიერებთ იმ მნიშვნელობას, რომელიც ენიჭება გამოცდილების გაზიარებასა და წარმატებულ მაგალითებს დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის. ჩვენ ხელს შევეწყობთ დისკუსიებს დემოკრატიზაციის შესახებ დიალოგის გადრმაგებისა და გაგრძელების მიზნით, საჭიროების მიხედვით მოვაწივებთ ფორუმებს დემოკრატიული მმართველობის საკითხებზე. ყურადღებას გავამახვილებთ საერთო პრინციპებსა და ფასეულობებზე და არა წევრ ქვეყნებს შორის არსებულ კერძო პრობლემებზე. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ერთიანი ძალებით ვითანამშრომლოთ იმ საშიშროების დასაძლევად, რომელიც ემუქრება დემოკრატიას კონსტიტუციური გზით არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი დამხობით. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გავადრმაგოთ თანამშრომლობა იმ ტრანსნაციონალური საფრთხეების დასაძლევად, რომელიც ემუქრება დემოკრატიას, იქნება ეს სახელმწიფო, საერთაშორისო თუ სხვა სახის ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, კორუფცია, ნარკოვაჭრობა, იარაღით არაღებულ ვაჭრობა, ტრეფიკინგი და ფულის გათეთრება. იმავდროულად, ყველა ასეთი ქმედებისას დავიცავთ თითოეული პიროვნების გარანტირებულ ადამიანის უფლებებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ჩვენ ხელს შევუწყოთ პოლიტიკურ ლიდერებს, რათა მათ დაიცვან შემწუნარებლობისა და კომპრომისული მიდგომის ფასეულობანი, რომლებიც ქმნიან ეფექტიან დემოკრატიულ სისტემებს. ხელს შევუწყოთ მათ ძალისხმევას პლურალიზმის პატივისცემის დამკვიდრებისთვის, რათა საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული მრავალფეროვნება, და იმედროულად დაცულ იქნას სტაბილურობა და საზოგადოების ერთიანობა. ჩვენ უარვეყოფით ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს, ძალადობას და ექსტრემიზმის სხვა ფორმებს. ჩვენ ხელს შევუწყოთ სამოქალაქო საზოგადოებას, არასამთავრობო სექტორისა და ქალთა ორგანიზაციებს, პროფკავშირებსა და ბიზნეს – ასოციაციებს, აგრეთვე დამოუკიდებელ მედიას მათი დემოკრატიული უფლებების განხორციელებისას. ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების ყველა ელემენტის, მათ შორის უმცირესობებისა და ქალების გააზრებული მონაწილეობა, წარმოადგენს დინამიური და მყარი დემოკრატიის საფუძველს.

ჩვენ დავეხმარებით სამთავრობათაშორისო და ხალხებს შორის კავშირების განვითარებას, ხელს შევუწყოთ სამოქალაქო და დემოკრატიულ განათლებასა და ზოგადად განათლებას. ამით ჩვენ წავახალისებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პრაქტიკას, დემოკრატიული ნორმებისა და ღირებულებების გავრცელებას.

ახალი და განვითარებადი დემოკრატიული საზოგადოებების დახმარების კოორდინაციისათვის ჩვენ ვითანამშრომლებთ შესაბამის ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და მთავრობებთან.

ჩვენ ვაღიარებთ საარსებო პირობების გაუმჯობესების მნიშვნელობას ჩვენი მოქალაქეებისთვის. ჩვენ ასევე ვაღიარებთ დემოკრატიული პროცესების წარმატების ორმაგ მნიშვნელობას, რამდენადაც ამგვარი წარმატებები წარმოადგენენ სტაბილური ეკონომიკური ზრდის წინაპირობას. ამ მიზნით, ჩვენ შევეცდებით დავეხმაროთ ერთმანეთს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში, მათ შორის სიღარიბის აღმოფხვრისათვის, რაც მნიშვნელოვანი წვლილი იქნება დემოკრატიული განვითარების შენარჩუნებისა და ხელშეწყობისთვის.

ჩვენ ვითანამშრომლებთ საერთაშორისო და რეგიონულ ინსტიტუტებთან დემოკრატიულ საკითხებთან დაკავშირებით, წავახალისებთ კოალიციებისა და სხვა გაერთიანებების შექმნას, შესაბამისი რეზოლუციების მხარდამჭერი ჯგუფების ჩამოყალიბებას და სხვა საერთაშორისო საქმიანობას, რომლის მიზანია დემოკრატიული მმართველობის განვითარება. ამგვარი ძალისხმევა ხელს შეუწობს დემოკრატიული განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას.